ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1914881

ნომერი: AR1303915

თარიღი : 22.04.2015

გაცემის თარიღი : 25.05.2015

გაცნობის თარიღი : 01.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N31-33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 22 აპრილს #AR1303915 განცხადებით მომართა შპს „სქაი ბილდინგის“ დირექტორმა გიორგი მჭედლიშვილმა და

მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №31-33–ში, შპს "VERSAN"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.07.001.011) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
განმცხადებლების განმარტებით, 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებაში არასწორად აისახა საერთო ფართისა და მასში შემავალი ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 1778.54 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს1921.87 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 1083.33 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1075.49 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 135.51 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს145.76 კვ.მ.–ს, კომერციული ფართობი 161.17 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 144.76 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 191.76 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 223.73 კვ.მ. –ს, ხოლო ავტოსადგომის ფართობი 206.77 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 332.13 კვ.მ. –ს. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს მითითებულ ბრძანებაში ხარვეზის გასწორებას მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 1921.87 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 1075.49 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 145.76 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 144.76 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 223.73 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად – 332.13 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას, ამავე ბრძანებით შეთანხმებული +21,90 ნიშნულზე გეგმის ნაცვლად, დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმა +21,90 ნიშნულზე ნიშნულზე.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 6 ოქტომბრის #1518720 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.